არ მინახავს ვინმე, ვისაც გრძელი თმა ჰქონოდა და წითელ სამოსში უკეთ გამოიყურებოდა, ვიდრე ალლაჰის მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას)

ალ-ბარა (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) გადმოსცემს: «არ მინახავს ვინმე, ვისაც გრძელი თმა ჰქონოდა და წითელ სამოსში უკეთ გამოიყურებოდა, ვიდრე ალლაჰის მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას), მისი თმა მხრებზე ეცემოდა, მხრებს შორის დაშორება შორი ჰქონდა. ის არც ძალიან მაღალი იყო და არც ძალიან დაბალი».
[სანდო (საჰიჰ)] [შეთანხმებული]

ალ-ბარა იბნ ააზიბი (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) გვამცნობს, რომ მას არ უნახავს არც ერთი ადამიანი, რომლის თმა მხრებამდე აღწევდა და რომელიც ატარებდა შავი ქსოვილის ქვედა სამოსსა და ზედა მოსასხამს, რომელსაც წითელი ზოლები ჰქონდა, უფრო ლამაზად, ვიდრე ალლაჰის მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას). მისი ფიზიკური აღწერილობა ასეთია: მხრებს შორის დაშორება შორი ჰქონდა, მკერდი განიერი, ხოლო სიმაღლით საშუალო – არც ძალიან მაღალი და არც ძალიან დაბალი.

http://www.sunnah.global/hadeeth/ka/show/2990